549-35

# ხელშეკრულება №61

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2 მაისი, 2014წ.

ქ. ხაშური

ერთის მხრივ, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისი" (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ზაზუკი ლომიძე, (შემდგომში - მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია;

ა) საწმენდი საშუალებები- CPS-39830000

ბ) ფხვნილები-CPV-39831300

გ) ტუალეტის საწმენდი-CPV-39831600

დ)საწმენდი საშუალებები -CPV-39830000

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 500( ხუთასი ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 მიწოდების ადგილია ქ. ხაშური კოსტავას ქ N 7.

4.2 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შევსება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი

ი/მ ბაჩუკი ლომიძე
მისამართი: ქ. ხაშური, კოსტავას ქ.N7

საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 57001056314
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს ლიბერთი ბანკი
საბანკო კოდი: მფო: LBRTGE 22
ანგარიშსწორების ანგარიში:
ა/ა GE04LB0288870040793566

ინდივიდუალური მეწარმე

/ბ. ლომიძე/

შემსყიდველი

ა(ა) ი.პ „ხაშურსერვისი"-
მისამართი: ხაშური კოსტავას ქ №7
ტელეფონი: (+995) 577 48 44 77
საიდენტიფიკაციოკოდი:№ს/კ 443856908
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკის ხაშურის ფილიალი
საბანკო კოდი: მფო LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №
ა/ა GE54LB0115149214224000

დირექტორი

/დ.გელაშვილი/

NPLE 443856908

2 მაისი 2014წ.

2 მაისი 2014წ.